1 ნოემბერი

ყველაწმიდას დიდდღესასწაული, [ს], თ

2019 პარასკევი

გამოცხ 7,2-4.9-14; ფს 23; 1იო 3,1-3; მთ 5,1-12

დიდია თქვენი საზღაური ცაში მთ 5,12

დღეს ვზეიმობთ სიწარულს ეკლესიისა, სწეულისა, ყველაწმიდა რომ ქმნის, მათში უფალი იესოს მყოფობით განწმედილნი. ესენი არიან წმიდანნი, უკვე რომ მიაღწიეს მიზანს, ზეციურ იერუსალიმში შევიდნენ, და არიან წლიდანნი, ჩვენ, ჯერ კიდევ მიწაზე რომ დავაბიჯებთ და ჩვენს ჯვარს ვატარებთ იესოს უკან. ისინი ღებულობენ საზღაურს, ჩვენ კი ის გვწადია. ესაა 'დიდი' საზღაური, ესაა ჩევნი 'დიდი' ღმერთისა და მამის სიყვარულის მოზიარეობა!

2 ნოემბერი

მოხსენიება ყველა მორწმუნე
მიცვალებულისა, [ს], ი

2019 შაბათი

წირვა 1: იობ 19,1.23-27; ფს 26; რომ 5,5-11; იო 6,37-40
წირვა 2: ეს 25,6.7-9; ფს 24; რომ 8,14-23; მთ 25,31-46
წირვა 3: სიბრძ 3,1-9; ფს41; გამოცხ21,1-5.6-7; მთ5,1-12

ნეტარ ხართ თქვენ, როცა გაგლანძღავენ... მთ 5,11

როდესაც ჩვენს სიკვდილზე ვფიქრობთ, მზერას მივმართავთ იქით, სადაც მივალთ, იმ მამის მყოფობაში, რომელსაც ვუყვარვა-რთ. მისი სიყვარული ახლაც თან გვდევს, როდესაც ჯვარს ვზიდავთ: სიხარული, ჯვარცმული იესოს მიყოლიდან რომ ვღე-ბულობთ, წმირად იფურჩქნება ტანჯვაში, როდესაც ასეთი ქცევის გამო ჩვენი არ ესმით ანდა გვაძაგებენ. ვინ იცის, ჩვენმა საყვარე-ლმა გარდაცვლილებმაც, ისე რომ არც კი შეგვიმჩნევია, რამდენი იტანჯეს იმის გამო, რომ უფლისადმი ერთგულნი დარჩენილიყ-ვნენ! მადლობა შევწიროთ მათ.

3 ნოემბერი

რიგითი ჟამის XXXI კვირადღე, «გ», [III], მწ

2019 კვირა

სიბრძ 11,22 - 12,2; ფს 144; 2თეს 1,11 - 2,2; ლკ 19,1-10

საქართველოში მოღვაწე ყველა გარდაცვლილ
კათოლიკე სასულიერო პირთა მოხსენიების დღე

მ. სერაფიმ მერაბიშვილის (1874-1940), მ. შიო ბათმანიშვილისა (+1937) და მ. ლაზარე გოზალიშვილის (+1937?) გახსენება

ცოდვილ კაცთან შევიდა ლკ 19,7

ვინც რჯულისადმი მორჩილად თვლის
თავს, არ სწავლობს იესოსგან, არამედ კი-
ცხავს მას. მაგრამ, მაშინ როცა მას კიცხავენ,
ზაქე აზრსა და გადაწყვეტილებას იცვლის
სწორედ იმიტომ, რომ იესომ დააფასა მისი
ნება, რომ ეხილა იგი, და საპასუხოდ შევი-
და მის სახლში, რათა მიეღო მისი სტუმა-
რთმოყვარეობა. მაშინ როცა მე ცოდვილს
განვსჯი, მას შეუძლია ჩემზე გაცილებით
უკეთ შეასხას ხორცი სიწმიდეს!

Ч ნოემბერი

რიგითი XXXI კვირა [III]

წმ. კარლო ბორომეო, ეპ., +1584, (მ), თ

2019 ორშაბათი

რომ 11,29-36; ფს 68; ლკ 14,12-14

ყოველივე მისგან არის, მის მიერ და მის მიმართ არის *რომ 11,36*

წმ. პავლე განცვიფრებულია კაცობრიობის ისტორიაში ღმერთის სამოქმედო გზებით. ღმერთს სურს, რომ თავისთან ჰყავდეს როგორც ებრაელები, ისე წარმართები, ვინაიდან ყველას აქვს სიცოცხლე მისგან. ყველანაირ ვითრებაში, ჩვენც უნდა მი-ვაპყროთ მზერა მის სიყვარულს, ყოველ ქმნილებას რომ მოიცავს, და სხვა არაფერს.

5 ნოემბერი

რიგითი XXXI კვირა [III] მწ

2019 სამშაბათი

რომ 12,5-16; ფს 130; ლკ 14,15-24

იმედით იხარეთ...
ლოცვაში იყავით მდგრადნი რომ 12,12

მოციქულის შეგონებები მოდის იესოსადმი მისი სიყვარულიდან და მისი სურვილიდან, რომ ჩვენი ცხოვრებაც ღმერთის დიდებად იქცეს. ღმერთის დიდება ჩვენი სიხარულია, მას რომ მშვენიერ პიროვნებად აქცევს. ხოლო სიხარული იმედიდან მოდის, მაშასადამე, უფლის აღთქმათა ხორცშესხმიდან. ამიტომაც, კვლავაც ვილოცებ, მასთან აღვადგენ ურთიერთობას, რომ შევიყვარო იგი და ვუპასუხო მის სიყვარულს, რომელიც დაუცხრომელია!

6 ნოემბერი

რიგითი XXXI კვირა [III] მწ

2019 ოთხშაბათი

რომ 13,8-10; ფს 111; ლკ 14,25-33

სიყვარული რჯულის აღსრულება რომ 13,10

ღმერთი გვთავაზობს მცნებებს, როგორც თავისი სიყვარულის ძღვენს. ამიტომაც, ჩვენგან ამ მცნებათა დაცვა არის სიყვარული, რომელიც სიყვარულს პასუხობს. ყოველგვარი ჭეშმარიტი სიყვარული, ყოველი ჟესტი სიყვარულისა, მამისადმი მორჩილებიდან იბადებდა და მისდამი მორჩილებისკენ გვიბიძგებს. მაშინ კი უკვე ღმერთის გულში ვიქნებით!

7 ნოემბერი

რიგითი XXXI კვირა [III] მწ

2019 ხუთშაბათი

რომ 14,7-12; ფს 26; ლკ 15,1-10

ყოველი ჩვენგანი საკუთარი თავისათვის ჩააბარებს ანგარიშს რომ 14,12

წმ. პავლეს სურს, ჩვენი გულიდან აღმოფხვრას სხვათა კრიტიკისა და განსჯის ჩვევა. ჩვენს შორის მხოლოდ ღმერთის სიყვარული უნდა სუფევდეს, სიფაქიზითა და კეთილგანწყობით ქმნილი სიყვარული. სხვაგვარად, როგორ შეიძლება მამის ჭეშმარიტი შვილების ჩვენებური მსგავსების დანახვა? ეს მეხმარება, ვიფიქრო, რომ იგი არ მომთხოვს ანგარიშს სხვებზე, არამედ ჩემს თავზე.

8 ნოემბერი

რიგითი XXXI კვირა [III]

საქართველოს კათოლიკე ეკლესიის
ყველა წმიდანი, (მ), თ

2019

პარასკევი

რომ 15,14-21; ფს 97; ლკ 16,1-8

მეც გწერდით, ... როგორც თქვენდამი შეხსენებას

რომ 15,15

მეც მაქვს ცდუნება იმის მტკიცებისა, რომ მზად ვარ, უკვე ვიცი, აღარ მჭირდება სწავლა. არა და... ეს სწორედაც ცდუნებაა! ღმრთის სიტყვა ყოველდღე ახალია და ახალ რჩევებს მაძლევს. ამიტომაც, სასიკეთოა მისი გამეორება. მადლობას გადავუხდი მას, ვინც იმას მეტყვის, რაც უკვე ვიცი. ეს მე მაძლევს ღმრთის ახალ ძღვენს, სიყვარულის ახალ წვეთს, უფრო სავსე სიყვარულს რომ ასაზრდოებს ჩემში.

9 ნოემბერი

ლატერანის ბაზილიკის კურთხევა, დ, [ს], თ

2019 შაბათი

ეზეკ 47,1-2.8-9.12, ან, 1კორ 3,9გ-11.16-17; ფს 45; იო 2,13-22

განა არ იცით, რომ ღვთის ტაძარი ხართ? 1კორ 3,16

მაშინ როცა ვზეიმობთ დედა ეკლესიის გამო, რომელშიც პაპი ასწავლის, წმ. პავლე შეგვახსენებს, რომ ჩვენ ვართ ღმერთის ჭეშმარიტი ტაძარი, აგებული ერთადერთ საძირკველზე, რომელიც ქრისტე იესოა! ეს მანუგეშებელი და, იმავე დრო, სერიოზული სიტყვებია. ისინი ცხადად აჩვენებენ ჩვენი მოწოდების ღირსებას, აგრეთვე პასუხისმგებლობას, რომ ძმების მიმართ ჩვენი ქცევით არ შევარცხვინოთ იგი, ვისი სახლიცაა ის ტაძარი, რომელიც ჩვენ ვართ.

10 ნოემბერი

რიგითი ჟამის XXXII კვირადღე, «გ», [IV], მწ

2019 კვირა

2მაკ 7,1-2.9-14; ფს 16; 2თეს 2,16-3,5; ლკ 20,27-38

ღმერთი მკვდრებისა კი არ არის, არამედ ცოცხლებისა ლკ 20,38

იესო პასუხობს მათ, ვისაც აღდგომისადმი რწმენის დაცინვა უნდოდათ. თუ ღმერთს ეწოდება "აბრაამის ღმერთი", ეს ნიშნავს, რომ მისი წყალობითაა აბრაამი ცოცხალი, თუმც კი მრავალი საუკუნის წინ მოკვდა. ხოლო იესომ იცოდა, რომ ჩვენ ღმერთს ვუწოდებდით "ღმერთს, ჩვენი უფალი იესო ქრისტეს მამას": ასე იგი თავის აღდგომასაც ამტკიცებს!

11 ნოემბერი

რიგითი XXXII კვირა [IV]

წმ. მარტინ ტურსელი, ეპ., +397, (მ), თ
(29.X) წმ. ღირსი სერაპიონ ზარზმელი, აბატი, +900

2019

ორშაბათი

სიბრძ 1,1–7; ფს 138; ლკ 17,1–6

მრუდე ზრახვები უფალს გვაშორებს სიბრძ 1,3

უფალო იესო, მომმადლე, რომ მუდამ ვასრულებდე შენს სიტყვებს, შენს უწყებებს, რათა ჩემს ზრახვებს მტკიცე და სარწმუნო ფესვები ჰქონდეს. როგორ შევძლებ ვაამო მამას, თუკი მისი სიბრძნით არ ვიკვებები? როგორ მეყვარება ძმები, თუკი მათ მიმართ ჩემი ზრახვები ადამიანური ფიქრებისა იქნებოდა, თავკერძობით რომ გამოირჩევა?

12 ნოემბერი

რიგითი XXXII კვირა [IV]

წმ. იოსაფატი, ეპ. და წამ., +1623, (მ), წ

2019 სამშაბათი

სიბრძ 2,23–3,9; ფს 33; ლკ 17,7-10

მკირედ დასჯილებს სიკეთით უხვად მიეზღვებათ

სიბრძ 3,5

მართალნი არიან ისინი, ვისაც მუდამ
სურთ ღმრთის ნების შესრულება,
ამქვეყნად მისი სიყვარულის მოტანა და
ყოველთვის მის სიბრძნეში განსწავლა.
ზოგჯერ თავიანთი სიმართლის გამო,
ისინი წმირად დატანჯულან ბოროტთა,
ღმერთის მტრების, სიძულვილითა და
უარყოფით. განა ღმერთი დაივიწყებს მათ?
განა ის, ვინც სამართლიანობას ასწავლის,
არ განადიდებს მათ?

13 ნოემბერი

რიგითი XXXII კვირა [IV] მწ
წმ. 100.000 წამებული, +1227

2019 ოთხშაბათი

სიბრძ 6,1-11; ფს 81; ლკ 17,11-19

ნუთუ ათივენი არ განიწმიდნენ? ცხრანი სადღა არიან? ლკ 17,17

იესოს ეს შეკითხვები მის გაკვირვებას გამოხატავენ. როგორ შეუძლია ადამიანს, რომელმაც სიკეთე მიიღო, დაივიწყოს თავისი კეთილისმყოფელი? ათნი იყვნენ განკურნებული კეთროვნები, რომელთაგან მხოლოდ ერთი დაბრუნდა მადლობის სათქმელად. შევეცდები, რომ დღეს ვიყო იმ ერთის მსგავსი, რომელიც ფეხზე დგება, რათა მადლობა გადაუხადოს მას, თავს დავიმცირებ, რომ მას ვემსახურო.

14 ნოემბერი

რიგითი XXXII კვირა [IV] მწ

2019 ხუთშაბათი

სიბრძ 7,22-8,1; ფს 118; ლკ 17,20-25

ღმრთის სასუფეველი თვითონ თქვენშია ლკ 17,21

სად არის ღმრთის სასუფეველი? მისი ნახვა გვწადია საკუთარი თავის მიღმა, ისე რომ სხვებმაც დაინახონ ის, როგორც ღმრთის სასუფეველი და არ დაგვცინონ. ასე არაა. როდესაც ღმერთს ვემორჩილები, მაშინ ვარ მისი სასუფეველი. ამიტომაც, აქეთ-იქით არ დავრბივარ, როდესაც ვიღაც ყვირის: "აქ არის, ქვემოთ"! ასე ხომ მოტყუებული აღმოვჩნდებოდი. ვემორჩილები იესოს, მის ყოველ სიტყვას: მაშინ იქნება ის ჩემი მეფე.

15 ნოემბერი

რიგითი XXXII კვირა [IV] მწ

წმ. ალბერტ დიდი, ეპ. და მოძ., +1280

2019 პარასკევი

სიბრძ 13,1-9; ფს 18; ლკ 17,26-37

ვინც ეცდება შეინარჩუნოს თავისი სიცოცხლე, დაკარგავს მას ლკ 17,33

როდესაც დევნა-შევიწროება იქნება... როგორ მოვიქცეთ? იესო თავის მორწმუნეებს ესაუბრება ამ შესაძლებლობაზე, რომელიც მართლაც არაერთგზის მოხდა საუკუნეთა განმავლობაში. ჯერ კიდევ ლოთი, რომელიც დაემორჩილა, გადარჩა სოდომის სასჯელისგან, მაშინ როცა მისმა ცოლმა, რომელიც ქალაქს მისტიროდა, სიცოცხლე დაკარგა. დაემორჩილე ღმერთს: იგია მშველელი!

16 ნოემბერი

რიგითი XXXII კვირა [IV] მწ

სნეულთა მფარველი ღმრთისმშობელი;
წმ. მარგარიტა შოტლანდიელი, +1093;
წმ. გერტრუდა, ქალწ., +1302

2019 შაბათი

სიბრძ 18,14-16;19,6-9; ფს 104; ლკ 18,1-8

როცა მოვა ძე კაცისა, ჰპოვებს კი რწმენას დედამიწაზე? ლკ 18,8

ამ ფრაზით იესო კიდევ ერთხელ ქარაგმულად იუწყება თავის სიკვდილსა და აღდგომას. და ჩვენთვის რაღა სურს? მან დაგვავალა, რომ გვიყვარდეს ერთმანეთი, ჩვენ კი შევძლებთ მისდამი მორჩილებას, თუკი რწმენა გვექნება. მისდამი რწმენაა, ჩვენში რომ აცოცხლებს შეყვარების ძალასა და ძმათა სიყვარულის მიღებას.

17 ნოემბერი

რიგითი ჟამის XXXIII კვირადღე, «გ», [I], მწ

2019 კვირა

მალ 3,19-20; ფს 97; 2თეს 3,7-12; ლკ 21,5-19

უპოვართა მსოფლიო დღე

წმ. ელისაბედის დების დღესასწაული

იფხიზლეთ, რომ არ შეგაცდინონ ლკ 21.8

იესომ იცის, რომ მისი მოწაფეები სირთუ-ლეებს წააწყდებიან. ერთ-ერთი მათგანი გამოწვეული იქნება იმ ადამიანთა მიერ, რომელთაც საკუთარი ინტერესებისთვის სურთ ხალხის რელიგიური გრძნობის გამოყენება. ყურადღებით ვიყოთ, რომ ჩვენი რწმენა გულუბრყვილობამ არ ჩა-ანაცვლოს. ჩვენი რწმენა გულმოდგინედ შევუთავსოთ ეკლესიის რწმენას. მაშინ ხომ ვეღარავინ შეძლებს ჩვენს მოტყუებას.

18 ნოემბერი

რიგითი XXXIII კვირა [I] მწ

2019 ორშაბათი

1მაკ 1,10-15.41-43.54-57.62-64; ფს 118; ლკ 18,35-43

რა გინდა, რომ გაგიკეთო? ლკ 18,41

ბრმა მათხოვარს ამ კითხვით მიმართავს იესო. მას შეეძლო ეთხოვა სიმდიდრე, რომ აღარ ემათხოვრა. ნაცვლად, ის ითხოვს, რომ თვალი აეხილოს. ასე იგი შეძლებს მისი მოყვარული უფლის სახის დანახვას, და იმ ძმების სახის დანახვასაც, მას რომ ეხმარებოდნენ. პირველ რიგში კი, შეძლებს წმიდა წერილების წაკითხვას და ტაძარში შესვლას ღმერთის სადიდებლად, რომელ-მაც სიბრმავისგან განკურნა. მეც მაქვს რა-იმე თხოვნა იესოს მიმართ? ვთხოვ კიდეც და მჯერა, რომ შემისრულებს მას.

19 ნოემბერი

რიგითი XXXIII კვირა [I] მწ

2019 სამშაბათი

2მაკ 6,18-31; ფს 3; ლკ 19,1-10

დღეს შენს სახლში უნდა ვიყო ლკ 19,5

ზაქე მოულოდნელობის წინაშე აღმოჩნდა. იესო, სწორედ მამისადმი მორჩილებით, შევა მის სახლში, რომელშიც რჯულის დამცველი არც ერთი ებრაელი არ შევიდოდა. იესო ახლებურად იყენებს ღმერთის სიყვარულს. მან იცის ზაქეს ცოდვები, მაგრამ ამბობს, რომ სიყვარული ახალ ფასს მისცემს ამ ცოდვილს: ფასს იმ ადამიანისა, ღმერთს რომ განადიდებს იმგვარი ცხოვრებით, რომელიც უპოვართა მიმართ მამის გულმოწყალეობას.

20 ნოემბერი

რიგითი XXXIII კვირა [I] მწ

2019 ოთხშაბათი

2მაკ 7,1.20-31; ფს 16; ლკ 19,11-28

ყოველ მქონეს კიდევ მიეცემა,
ხოლო უქონელს ისიც წაერთმევა,
რაც აქვს ლკ 19,26

ერთხელ მოვისმინე, თუ როგორ შეავსეს ეს ფრაზა, ერთი შეხედვით რომ ამოუცნობი ჩანდა: „ვისაც სიყვარული აქვს იესოს მიმართ, მას ერთგული, სულგრძელი სიყვარული მიეცემა ადამიანთა მიმართაც. ხოლო ვისაც არ აქვს სიყვარული იესოს მიმართ, სიყვარული, რომელიც მის გულშია, იქნება ნაკლული, მაამებლობის მძებნელი, მერყევი და წყენია“.

21 ნოემბერი

რიგითი XXXIII კვირა [I]

ნეტ. ქალწ. მარიამის ტაძრად მიყვანა (მ), თ

2019 ხუთშაბათი

1მაკ 2,15-29; ფს 49; ლკ 19,41-44

შორს იყოს ჩვენგან მცნებებისა და რჯულის დატოვება 1მაკ 2,21

მატათია თავის შვილებთან ერთად ასე პასუხობს მეფის წარგზავნილებს, რომელთაც უნდოდათ ეიძულებინათ იგი განდგომილებისაკენ, მაშასადამე, რომ უარი ეთქვა თავისი მამების რწმენაზე. თავისი პასუხი კი სიცოცხლის ფასად უჯდება. მატათიას შემთხვევა არის წინასწარმეტყველება იესოს მოციქულებისა და მოწაფეებისათვის. იმ წლებში რამდენი ქრისტიანი რჩება უფლისადმი ერთგული, მიუხედავად დაცინვისა, გარიყვისა, დევნისა და სიკვდილისა!

22 ნოემბერი

რიგითი XXXIII კვირა [I]

წმ. ცეცილია, ქალწ. და წამ., +~250, (მ), წ

2019 პარასკევი

1მაკ 4,36-37.52-59; ფს: 1ნეშტ 29,10-12; ლკ 19,45-48

ჩემი სახლი სამლოცველო სახლია ლკ 19,46

იესო, შენ იერუსალიმის თაძარს უწოდებ "შენ სახლს"! ასე გააცხადე, რომ ხარ ძე ღმრთისა და აჩვენე შენი რწმენა: ტაძარი მართლაც არის ადგილი, სადა ღმერთი ავლენს თავის მყოფობას და სურს თავის შვილებთან შეხვედრა. ადმიანები, რომლებიც ამ ადგილას, ლოცვის ნაცვლად, საკუთრ საქმეებზე ზრუნავენ, ტოვებენ შთაბეჭდილებას, რომ ღმერთი, მოსიყვარულე მამის ნაცვლად, არის ვაჭარი, რომელსაც უნდა მოვურიგდეთ!

23 ნოემბერი

(10.XI) წმ. გიორგი წამებული, დ, [ს], წ

წმ. კლემენტ I, პ. და წამ., +101; წმ. კოლუმბან, აბ. +615;
(10.XI) წმ. დიდმოწამე კონსტანტი-კახი, +852

2019 შაბათი

2მაკ 6,18 ან, ფილიპ 1,20-30 ფს 33; მთ 10,28-33

გიორგობა. უდეში „პირდაპირების“ სამლოცველოს დღეობა

საუკუნო ცხოვრებისა და მკვდრეთით აღდგომის ღირსად შერაცხილნი არც ცოლს ირთავენ და არც თხოვდებიან ლკ 20,35

ვინ "ჩაითვალა ღირსად, რომ მკვდრეთით აღდგომა მოიპოვონ"? იესოს საუბრიდან ჩანს, რომ ესენი არიან მისი მოწაფეები, ისინი, ვისაც მისი სწამთ. ახლა ისინი განირ-ჩევიან "ამ სამყაროს შვილებისგან", წარ-მავალი, მატერიალური ინტერესებითა და საკუთარი თავკერძობით რომ მოქმედებენ. მოწაფეები მისგან ღებულობენ ახალ ცხო-ვრებას: ღმთიურ ცხოვრებას, მარადიულად რომ იწოდება. ის კი, იესო, თავისი სიყვარუ-ლით ავსებს მათ ცხოვრებას, იმდენად, რომ აღარ სჭირდებათ სხვაგვარი სიყვარული!

24 ნოემბერი

2019

რიგითი ჟამის XXXIV კვირადღე,
უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი,
სამყაროს მეფისა, «გ», დდ, [ს], თ

კვირა

2მეფ 5,1-3; ფს 121; კოლ 1,12-20; ლკ 23,35-43

ლიტურგიული წელიწადის ბოლო კვირა
ახალშენის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

იესო, გამიხსენე, როცა მიხვალ შენს სასუფეველში ლკ 23,42

გამიხსენე! დიახ, იესო, გამიხსენე! შენ ხარ მეუფე ღმრთის სასუფევლისა! თუკი გამიხსენებ, მეც შენთან ერთად ვიქნები. აღარ იარსებებს ჩემი ტანჯვა და ცოდვები. შენს მსგავსად შევიყვარებ ჩემს მტრებსაც. იესო, დაე, ჩემი სახელი არიბეჭდოს შენს გულში!

25 ნოემბერი

2019 ორშაბათი

დან 1,1-6.8-20; ფს: დან 3,52-56; ლკ 21,1-4

ამ ღარიბმა ქვრივმა უველაზე მეტი ჩადო ლკ 21,3

იესოს კრიტერიუმი ახალი, უბრალოა: ის ადამიანს აკვირდება მისი ქმედებების უწინ. ვინც ფულს გასცემს, საკუთარ გულ-კეთილობას აჩვენებს. ქვრივი კი, თავისი ჟესტით, მთლიანად ღმერთის გულკეთი-ლობას ენდობა. მისი ჯესტი ამბობს, რომ ღმერთი კეთილი, ერთგული და მოწყალე მამაა. იესო ამას ამცნობს თავის მოწაფეებს: მათ შეუძლიათ.

26 ნოემბერი

რიგითი XXXIV კვირა [II] მწ

2019 სამშაბათი

დან 2,31-45; ფს: დან 3,57-61; ლკ 21,5-11

ქვა ქვაზე არ დარჩება ლკ 21,6

იესო ანადგურებს ტაძრის არქიტექტურული სტრუქტურით აღფრთოვანებულთა ენთუზიაზმს. აქ უმნიშვნელოვანეს სინამდვილეს ვხედავთ! ეს ფრაზა მრავალჯერ დამხმარებია, რომ ასე არ მიმემართა იმ მუშაკებისთვის, რომლებიც ჩემი სურვილისამებრ არ ასრულებდნენ რაიმე საქმეს. ხელოვნების წესისამებრ შესრულებულ ნაწარმზე უფრო მნიშვნელოვანი ჩემი მომთმენი სიყვარული და კეთილგანწყობილებაა.

27 ნოემბერი

რიგითი XXXIV კვირა [II] მწ

2019 ოთხშაბათი

დან 5,1-6.13-14.16-17.23-28; ფს: დან 3,62-67; ლკ 21,12-19

მოთმინებით მოიპოვეთ თქვენი სულები ლკ 21,19

იესო აფრთხილებს თავის მოწაფეებს: მის გვერდით ყოფნა არ იძლევა პრივილეგიებს, არ იწვევს ადამიანთა აღტაცებას და არ იცავს დევნისგან. ისინი კი ერთგულნი რჩებიან მიუხედავად გაუგებლობისა, დაცინვისა, ცილისწამებისა და შეურაცხყოფისა, სიკვდილამდეც კი. შევეცადოთ, რომ ჩვენი მზერა მივმართოთ მისკენ, რათა მივიღოთ ბოლომდე სიყვარულში დათმენის ძალა.

2019 ხუთშაბათი

დან 6,11-28; ფს: დან 3,68-74; ლკ 21,20-28

დღეში სამჯერ შესთხოვს თავის სათხოვარს დან 6,14

ასეთია ბრალდება, რომლითაც მეფე დარიოსის დიდებულები ამხელენ ებრაელ დანიელს. ის კი კვლავ თაყვანს სცემს თავის ღმერთს, მიუხედავად იმ კერპთაყვანისცემლური კანონებისა, მეფის ქანდაკებისადმი თაყვანისცემას რომ ითხოვენ. ლომები, რომელთა ორმოშიც ჩააგდეს იგი, არაფერს ვნებენ მას და ასე მოასწავებენ ღმერთის მიერ იესოს მოწონებას, რომელიც გამოხმობილი იქნება სიკვდილის ორმოდან, რომელშიც ძლიერთა შურმა ჩააგდო იგი.

29 ნოემბერი

რიგითი XXXIV კვირა [II] მწ

2019 პარასკევი

დან 7,2-14; ფს: დან 3,75-81; ლკ 21,29-33

ცა და მიწა გადავლენ, ხოლო
ჩემი სიტყვები არ გადავლენ! ლკ 21,33

უფალო იესო, გმადლობ შენი ყოველი სწავლებისათვის. შენს სიტყვაზე პეტრემ გადააგდო ბადე, რომელიც თევზით აივსო, შენს სიტყვაზე მსურს დავაფუძნო ჩემი ცხოვრება. ყოველ ჯერზე, როდესაც უნდა გადავწყვიტო ან ავირჩიო, შევეცდები, რომ გავიხსენო შენი სიტყვები. ისინი უვნებლად მაგრძნობინებენ თავს და არ შემაცდენენ.

30 ნოემბერი

2019 **შაბათი**

წმ. ანდრია, მოციქული, დ, [ს], წ

(17.XI) წმმ. მიქაელ-გობრონი და 133 მხედარი, +914

რომ 10,9-18; ფს 18; მთ 4,18-22

ახალხიზის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

ყოველი, ვინც მოუხმობს უფლის სახელს, გადარჩება რომ 10,13

ამ სიცხადიდან წმ. პავლე ასკვნის იმის აუცილებლობას, რომ ყველას გააცნოს უფალი იესო. სწორედ ესაა ეკლესიის მისია: აუწყოს იესოს სახელი, რათა ყველამ შეძლოს მისთვის, ერთადერთი მაცხოვრისთვის, ხელის ჩაჭიდება. დღეს მადლობას ვწირავთ წმ. პეტრეს ძმას, წმ. ანდრიას, პირველმოწოდებულს იესოს მიერ: ისიც ხოლ სიკვდილის წინაშე აღმოჩნდა ამ მისიის შესასრულებლად. და ვილოცოთ ბიზანტიის ეკლესიასთან თანაზიარებაში, რომელიც თაყვანს სცემს წმ. ანდრიას, როგორც თავის დამფუძნებელს.